

გადამცემ ქსელზე მიერთების მოთხოვნაზე უარის თქმის ტექნიკურ-ეკონომიკური კრიტერიუმები და მათი შეფასების მეთოდოლოგია

მუხლი 1. მეთოდოლოგიის მიზანი

ამ მეთოდოლოგიის მიზანია დაადგინოს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 17 აპრილის №10 დადგენილებით დამტკიცებული „ქსელის წესების“ (შემდგომში წესები) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გადამცემ ქსელზე მიერთების მოთხოვნაზე უარის თქმის კრიტერიუმები.

მუხლი 2. გადამცემ ქსელზე მიერთების მოთხოვნაზე უარის თქმის ტექნიკური კრიტერიუმები

1. გადამცემ ქსელზე მიერთების მაძიებელს შეიძლება უარი ეთქვას გადამცემ ქსელზე მიერთებაზე თუ:

ა) მისაერთებელ ობიექტთან (გარდა ელექტროსადგურისა) უახლოეს ქვესადგურში ან გადამცემ ხაზზე არ არსებობს თავისუფალი მისაერთებელი სიმძლავრე.

ბ) მისაერთებელი ობიექტის აქტიური სიმძლავრის ცვლილება მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადი მუშაობის ძირითად მაჩვენებლებზე:

ბ.ა) ელექტრულ სიხშირეზე;

ბ.ბ) ელექტროენერგეტიკული სისტემის არსებულ ოპერატიულ რეზერვებზე ან/და მეზობელ ქვეყნებთან იმპორტირებული/ექსპორტირებული სიმძლავრის ზღვრების ფარგლებში შენარჩუნებაზე;

გ) მისაერთებელი ობიექტი გამოიწვევს ელექტროენერგეტიკული სისტემის ინერციის მნიშვნელოვნად შემცირებას, რაც თავის მხრივ, უარყოფით ზეგავლენას მოახდენს სისტემის მდგრადობაზე;

დ) მისაერთებელი ობიექტის ქსელთან დამაკავშირებელი რომელიმე ელემენტის გამორთვამ შეიძლება კრიტიკული ზიანი მიაყენოს სისტემის მდგრადობას.

ე) მისაერთებელი ობიექტის ელექტროდანადგარების მოქმედებით გამოწვეული მოკლე შერთვის დენების მაქსიმალური მნიშვნელობები არ შეესაბამება ამ მიერთების წერტილის მკვებავ ქვესადგურ(ებ) ში არსებულ საკომუტაციო ან/და მიერთებისთვის საჭირო აპარატურის მონაცემებს. (აღნიშნული კრიტერიუმის შემოწმება ხდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ.).

მუხლი 3. გადამცემ ქსელზე მიერთების მოთხოვნაზე უარის თქმის ზოგადი კრიტერიუმები

1. გადამცემ ქსელზე მიერთების მაძიებელს შეიძლება უარი ეთქვას გადამცემ ქსელზე მიერთებაზე თუ:

ა) მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე სარგებლობის უფლების მოპოვება შეუძლებელია (თუ მიერთებისთვის აუცილებელია ქვესადგურის ტერიტორიის გაფართოება);

ბ) არახელსაყრელი გეოგრაფიული და კლიმატური პირობებია;

გ) არსებობს გარემოს დაცვის ნორმებიდან გამომდინარე ბუნებაზე ზემოქმედების შეზღუდვა.

დ) მიერთების სავარაუდო (საპროგნოზო) ხარჯი, ხუთჯერ ან მეტჯერ აღემატება მოთხოვნილი მიერთების დადგენილ საფასურს. მიერთების სავარაუდო (საპროგნოზო) ხარჯის განსაზღვრა (ხარჯთაღრიცხვის მომზადება) ხდება გადამცემ ქსელზე მიერთების პირველ ეტაპზე.

ე) მაძიებელს მიერ მოთხოვნილი მიერთებით ირღვევა ქსელის წესების, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ტექნიკური რეგლამენტებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები.